მოთხოვნა ინტერესის გამოსახატად

საქართველო
აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი
სესხის/კრედიტის № IBRD 8547-GE
პროექტის №: P149952
დავალების დასახელება: ტექნიკური აუდიტის ექსპერტი (ინდივიდუალური კონსულტანტი)
კონტრაქტის ნომერი: EWHCIP/CS/ICS-07

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პირებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **ტექნიკური აუდიტის ექსპერტი.** დავალების ძირითადი მიზანია საპროექტო მონაკვეთზე „ზემო ოსიაური ჩუმათელეთის ლოტი 2-ა კმ5+800 – კმ7+700“ შესრულებული სამუშაოებისთვის ტექნიკური აუდიტის ჩატარება.

ტექნიკური დავალება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

https://www.dropbox.com/scl/fi/1pfpc36vmz7sytqtd6ib1/ToR-for-technical-audit-1.9km-section-of-F0.docx?rlkey=98xnfzi0igw4yudwrq49gw4q9&dl=0

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე (CV), რომლითაც დასტურდება დავალებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება აღნიშნული მომსახურების გასაწევად.

ექსპერტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება სამოქალაქო ინჟინერიაში ან მისი ექვივალენტი;
- არანაკლებ 15 წლიანი ზოგადი საინჟინრო გამოცდილება საგზაო სექტორში ;
- მაგისტრალის/ავტომაგისტრალის/ჩქაროსნული მაგისტრალის დიზაინის და ზედამხედველობის ან პროექტის განხორციელების არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება;
- არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება გუნდის ლიდერის პოზიციაზე, რომელიც უნდა მოიცავდეს მაგისტრალის/ ავტომაგისტრალის/ ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა/ რეკონსტრუქციის პროექტების ზედამხედველობას;
- FIDIC-ის კონტრაქტებზე მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;
- საგზაო უსაფრთხოების კუთხით გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა აუცილებელია.

შერჩეულ ექსპერტს არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, რაც გულისხმობს რომ მას არ ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება კონტრაქტორთან, ინჟინერთან (ზედამხედველობის კონსულტანტთან) და

დამსაქმებელთან (არ უნდა იყოს დასაქმებული საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ზემო ოსიაური - ჩუმათელეთის მონაკვეთის დიზაინისა და განხორციელების არცერთ ეტაპზე).

<u>შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი უფლებას იტოვებს გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.</u>

საკონსულტაციო მომსახურების ხანგრძლივობა შეადგენს 60 სამუშაო დღეს, რომელიც აითვლება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ქვემოთ მოცემული ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება „ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურების" შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების და რეგულაციების შესაბამისად.

შეფასების დასრულებამდე, სატენდერო კომისიის წევრებს შეუძლიათ გასაუბრება ჩანიშნონ საუკეთესო კანდიდატებთან მათ მიერ წარმოდგენილი რეზიუმეს საფუძველზე. გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს ტელეფონით ან ალტერნატიული საკომუნიკაციო საშუალებებით, ან პირადად (როგორც კანდიდატთან იქნება შეთანხმებული) და გასაუბრების თარიღი და დრო დადასტურებული იქნება ან ეცნობება კანდიდატს მინიმუმ 5 დღით ადრე. თუ კანდიდატი ვერ ახერხებს გასაუბრებაში მონაწილეობას ფორსმაჟორის გამო, კანდიდატთან ერთად დაიგეგმება ალტერნატიული თარიღი და დრო. თუ კანდიდატი ვერ მიიღებს მონაწილეობას მეორედ დაგეგმილ დროს, მისი კანდიდატურა მოიხსნება შეფასების პროცესიდან. გასაუბრებაზე დასწრებასთან დაკავშირებული ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ეკისრება კანდიდატს. ინტერვიუს სავარაუდო ვადაა 2024 წლის 30 აპრილი.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა კონსულტანტის რეზიუმესთან (CV) და სხვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთად, ბეჭდური სახით ან ელექტრონულად, წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2024 წლის 16 აპრილისა 15:00 საათისა.

საკონტაქტო პირი: სალომე წურწუმია

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი #12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge